

კამელინის 2–3 კაფსულა სრულიად უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს.

თსსუ–ს ფარმაცევტული ფაკულტეტის, ფარმაცევტული და ტოქსიკოლოგიური ქიმიის დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, ფარმაცევტი– თამაზ მურთაზაშვილი

- ორგანიზმში თავისუფალი რადიკალების სიჭარბე შესაძლებელია გამოწვეული იყოს არასწორი კვებით, მავნე ეკოლოგიური პირობების, ალკოჰოლის და სხვა ენდოგენურ–ეგზოგენური ზემოქმედებით, რაც თავის მხრივ განაპირობებს ორგანიზმის იმუნიტეტის დაქვეითებას. (UDK 637.1)
- ანტიოქსიდანტური აქტივობის შესუსტება და იმუნიტეტის დაქვეითება განაპირობებს სხვადასხვა პათოლოგიური პროცესების მოშლას, ნაადრევ დაბერებას, ონკოლოგიური დაავადებების განვითარებას და სხვა.
- უფროსი ასაკის მქონე ადამიანის ორგანიზმის ანტიოქსიდანტური ნივთიერებების მოთხოვნის საშუალო სადღეღამისო ნორმა შეადგენს 360 მგ–ს
- თავისუფალი რადიკალების ორგანიზმში მოქმედებას აკონტროლებს ეგზოგენური და ენდოგენური ანტიოქსიდანტები, აგრეთვე ფერმენტული ანტიოქსიდანტური სისტემები. რეგულაციის სისტემის დარღვევას მივყავართ უჯრედებისა და ქსოვილების შეუქცევადი დაზიანებისაკენ.
- მსოფლიოში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ქსოვილების ჰიპეროქსიდაციის უარყოფით გავლენას უჯრედებსა და ქსოვილებზე, რის შედეგადაც მატულობს ზეჟანგვითიპროცესების შედეგად მიღებული თავისუფალი რადიკალების კონცენტრაცია. . ამ კასკადური მექანიზმის შესაჩერებლად სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება პრეპარატების ჯგუფს, რომელიც უჯრედულ დონეზე ამცირებს ჰიპეროქსიდაციის პროცესს და ამით იცავს უჯრედებს შემდგომი დაზიანებისგან. ამ ჯგუფს ანტიოქსიდანტები ეწოდება.
- არსებობს ბუნებრივი და სინთეზური წარმოშობის ანტიოქსიდანტები. ბუნებრივს ვხვდებით მცენარეული და ცხოველური წარმოშობის ნედლეულში, ხშირ შემთხვევაში ისინი გვხვდება საკვებ პროდუქტებში. საყოველთაოდ ცნობილია თაფლის სამკურნალო თვისებები, რომელშიც წამყვან როლს თამაშობს ამ პროდუქტის ანტიოქსიდანტური გავლენა ქსოვილებზე. თაფლს დიდი ხანია იყენებენ მედიცინის სხვადასხვა სფეროში, მიუხედავად ამისა, სამამულო თაფლის პროდუქტი საინსტიტუციო ფორმით ჯერ არ ყოფილა წამოდგენილი. დღეს შესაძლებელია ემპირიულად გამოცდილი ნედლეული მომხმარებლისთვის შეთავაზებული იყოს ისეთი ფორმით, როდესაც დაცული იქნება პრეპარატის წარმოების ყველა ფარმაკოლოგიური მოქმედება.
- პრეპარატი კამელინი, რომელიც თაფლიდან გამოყოფილი ნახშირწყლების ფრაქციიდან მიიღება და ძლიერი იმუნომოდულაციური თვისებებით გამოირჩევა, წარმოადგენდა აღნიშნული მიმართულებით კვლევის ნაწილს.
- კვლევის მიზანს შეადგენდა „კამელინ მ 2“ (კაფსულების) ანტიოქსიდანტური აქტივობის შესწავლა DPPH რეაქტივთან სპექტროფოტომეტრული მეთოდით (EC 50%). კვლევები ვაწარმოვეთ პრეპარატის 3 სხვადასხვა სერიაზე, თითოეულის 3 ნიმუშზე. კაფსულების შიგთავსის 1,12 მგ/მლ კონცენტრაციის ხსნარს გააჩნია ანტიოქსიდანტური აქტივობა. ლიტერატურული მონაცემებიდან გამომდინარე (სადღერამოსი ნორმა 360 მგ) ზრდასრულ ადამიანებში კამელინის 2–3 კაფსულა სრულიად უზრუნველყოფს ორგანიზმის ანტიოქსიდანტურ მოთხოვნებს.